თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. თელავი 2019 წლის 07 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

1. **სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: ვასილ არაბული, უჩა ჭოტიაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, ლელა მენთეშაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული სამართლებლივი დასკვნის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილების განხილვის თაობაზე.

   მომხს.ა,შათირიშვილი.

2. თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის წლიური ანგარიშის განხილვის თაობაზე.

   მომხს.ა.შათირიშვილი.

მოისმინეს: 1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული სამართლებლივი დასკვნის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ სამართლებლივ დასკვნაში მითითებული შენიშვნები საჭიროა ასახული იქნას თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილებაში და ახალი რედაქციით წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გიორგი თავბერიძის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: განხორციელდეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილებაში, კერძოდ: დადგენილების პრეამბულაში მითითებული იქნას „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, ასევე ზონირების განსაზღვრისას მითითებული იქნას ქალაქი თელავი. დადგენილება ახალი რედაქციით წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის წლიური ანგარიშის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ შესყიდვების დროს უნდა მოხდეს საავტომობილო ბუნებრივი აირის ტალონების ოპტიმიზაცია, კერძოდ ტალონები უნდა იყოს უფრო წვრილი ოდენობის - 2 და 5 კუბ.მ. ოდენობით, რითაც გაადვილდება სასურველი ოდენობით საწვავის ათვისება და ასევე დააყენა წინადადება, რომ ანგარიში საკრებულომ მიიღოს ცნობად.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ჩაბრაშვილის წინადადებას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის წლიური ანგარიში საკრებულოს ბიურომ მიიღოს ცნობად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი